კონკურსის პირობები:

კონკურსი ტარდება 2 ტურად.

პირველ ტურში მონაწილეთაგან ჟიურის მიერ შერჩეული საუკეთესო მოსწავლეები გადადიან მეორე (ფინალურ) ტურში.

მონაწილეებს, როგორც პირველ, ისე ფინალურ ტურში, ეძლევათ 10 სათაური, რომელთაგან მათ უნდა შეარჩიონ მხოლოდ ერთი და დაწერონ თავისუფალი თემა. სათაურები შეიძლება შეეხოს: ლიტერატურას, რელიგიას, ისტორიას, ფილოსოფიას, ხელოვნებას.

თხზულების დასაწერად გამოყოფილი დრო - 4 ასტრონომიული საათი.

თემის მოცულობა პირველ ტურში იზღუდება 4 ნაბეჭდი გვერდით (შრიფტის ზომა 12, სტრიქონებს შორის მანძილი - 1, 5).

კონკურსანტთა ნაშრომებს შეაფასებს კომპეტენტური ჟიური, რომლის შემადგენლობაშიც მოწვეულნი იქნებიან ცნობილი მასწავლებლები, მწერლები, პუბლიცისტები, ხელოვნებათმცოდნეები, ფილოსოფოსები, ისტორიკოსები.

თავისუფალი თემის შეფასების ძირითადი კრიტერიუმები:

- თემის სათაურთან შესაბამისობა
- ინოვაციურობა/შემოქმედებითი მიდგომა
- ზოგადი განათლების მაღალი დონე
- ორიგინალური და კომპლექსური აზროვნება (რაც გულისხმობს ფიქრის მოძრაობას მთელ „ჰუმანიტარულ ველზე“)
- წერის კარგი კულტურა; ფრაზის შეგრძნება
- ანალიზის, შეფასებისა და დასაბუთების გამორჩეული უნარი
- მრავალმხრივი ხედვისა და ინტერპრეტაციის უნარი

საპრიზო ადგილები და დაჯილდოება:

კონკურსის შედეგად გამოვლინდება 10 გამარჯვებული, რომელთაგან განისაზღვრება:

- სამი „საუკეთესო“ (I, II და III ადგილი)
- სამი „გამორჩეული“ (IV - VI ადგილი)
- ოთხი „წარჩინებული“ (VII - X ადგილი)

სამი „საუკეთესო“ თხზულების ავტორი დაჯილდოვდება ფულადი პრიზებით:

- პირველი ადგილი: 1000 ლარი
- მეორე ადგილი: 600 ლარი
- მესამე ადგილი: 300 ლარი

ასევე, სამივე გამარჯვებულის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს გადაეცემათ ფულადი პრიზები:

- პირველი ადგილი: 600 ლარი
- მეორე ადგილი: 400 ლარი
- მესამე ადგილი: 200 ლარი

გამორჩეულ და წარმატებულ კონკურსანტებს გადაეცემათ სამახსოვრო საჩუქრები, ხოლო კონკურსის 10 გამარჯვებულის სკოლებს - სპეციალური დიპლომები.

კონკურსის ფინალურ ტურში მონაწილე ყველა კონკურსანტი მიიღებს სპეციალურ სერტიფიკატს.

კონკურსის ჩატარების ვადები:

- კონკურსის გამოცხადება: **2022 წლის 10 აპრილი**
- სკოლებიდან განაცხადების მიღება/რეგისტრაცია: **არაუგვიანეს 2022 წლის 10 მაისისა**
- კონკურსის პირველი ტური: **2022 წლის 14 მაისი, 12:00 საათი** (რეგისტრაცია დაიწყება 11:00 საათზე)
- კონკურსის ფინალური ტური: **2022 წლის 28 მაისი, 12:00 საათი** (რეგისტრაცია დაიწყება 11:00 საათზე)

კონკურსის ჩატარების ადგილი

კონკურსის ორივე (პირველი და ფინალური) ტური ჩატარდება საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი SEU-ს კამპუსში.

მისამართი: თბილისი, წინანდლის ქუჩა №9, (მეტრო 300 არაგველის მიმდებარედ)

დაჯილდოების ცერემონია

დაჯილდოების ცერემონია გაიმართება საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი SEU-ს კამპუსში, **2022 წლის 4 ივნისს, 14:00 საათზე**

კონკურსის საუკეთესო თხზულებათა კრებული გამოიცემა 2022 წლის სექტემბერში.